

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას

წარმომადგენლობითი საბჭოს

დადგენილება №6

12 მარტი 2016 წ.

დამტკიცდეს შესაბამისი ცვლილებებით შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას
შინაგანაწესი შემდეგი შინაარსით:

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

დამტკიცებულია

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

2012 წლის 28 მაისის ოქმი N2 (დადგენილება N5)

მოდიფიცირებულია:

წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 12 აგვისტოს
ოქმი N2 (დადგენილება N2) გადაწყვეტილების საფუძველზე;

მოდიფიცირებულია:

წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 23 მარტს
ოქმი N2 (დადგენილება N1) გადაწყვეტილების საფუძველზე;

მოდიფიცირებულია:

წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 მარტს
ოქმი N2 (დადგენილება N6) გადაწყვეტილების საფუძველზე;

თბილისი 2016

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პრეამბულა

- 1.1. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია (შემდეგში უს ჯორჯია) ყოფილი საერთაშორიო ურთიერთობების ინსტიტუტი, ჩამოყალიბდა 1996 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. უს ჯორჯია უახლესი რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე აღჭურვილობის საფუძველზე გარდაიქმნა ახალი ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ეროვნულ დონეზე და სრულად გადავიდა სწავლების ევროპულ სისტემაზე;
- 1.2. სწავლებასა და სასწავლო პროცესს საფუძვლად უდევს ევროსაბჭოს რეკომენდაციები. ეროვნულ საგანმანათლებლო ინტერესებზე ორიენტირებულმა უს ჯორჯიამ შეძლო საქართველოში არსებული სწავლების სისტემის ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. უს ჯორჯიაში საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსები; არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლების ფორმატის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ; უს ჯორჯიაში დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში აქტიურად არის გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. დანერგილია ქვისმეთოდები, სიტუაციური მოდელირების, პროექტების პრეზენტაციების და ა.შ. გამოყენება, რომლებიც ეფუძნება სტუდენტის წინაშე დასმული საკითხების ეტაპობრივ გადაწყვეტას. სასწავლო პროცესში გამოიყენება ასევე სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს

კრიტიკული ანალიზი და შეფასება, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინაციების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას;

1.3. ფაკულტეტების შესაბამისი პროგრამები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ეროვნულ კანონმდებლობას. გათვალისწინებულია ბოლონიისა და ტუნინგის პროექტების რეკომენდაციები;

1.4. ცენტრალურ ღირებულებას წარმოადგენს სტუდენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

1.5. უს ჯორჯიას პროფილი განისაზღვრა შემდეგი ფაკულტეტების მიხედვით:

1.5.1 ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი;

1.5.2 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

1.6. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია აღჭურვილია კომპიუტერული კლასით, შეუზღუდავი ინტერნეტით. უს ჯორჯიას გააჩნია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკაში მოიპოვება თანამედროვე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და პერიოდული გამოცემები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფილი იყვნენ უახლესი ლიტერატურით, მასალებითა და ინფორმაციით;

1.7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სტუდენტების აქტიური მონაწილეობით უს ჯორჯია ყოველწლიურად გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალ "ივერონს";

1.8. უს ჯორჯიას ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ფუნქციას.

მუხლი 2. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას მისია

2.1. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას მისია:

- 2.1.1. ფუნდამენტალური ღირებულებების მატარებელი შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
 - 2.1.2. უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროგრესირებადი რეფორმების ინტენსიურ დანერგვაზე ზრუნვა;
 - 2.1.3. ევროპულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა და ამავდროულად უმაღლესი განათლების მისაღებად წარმატებული გარემოს უზრუნველყოფა;
 - 2.1.4. ეროვნული საგანმანათლებლო ინტერესების შერწყმის საფუძველზე თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით მისაღწევი კომპეტენციების ფოკუსირება კონკრეტული მიმართულების განვითარებაზე;
 - 2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით მოზიდვა და შერჩევითობა;
 - 2.1.6. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და მათი გაუმჯობესების მექანიზმების მუდმივი სრულყოფა;
 - 2.1.7. სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების თავისუფალი არჩევითობისა და გამჭვირვალე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
 - 2.1.8. ინფორმაციისა და მონაცემების საჯაროობის საფუძველზე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
 - 2.1.9. უს ჯორჯიას მართვაში თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართულობა;
 - 2.1.10. ინტელექტუალური განვითარებისათვის შესაბამისი კრეატიული გარემოს ორგანიზება და სტუდენტთა შემოქმედებით საქმიანობაში ფინანსური მხარდაჭერა;
- 2.2. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას მისია შედგენილია უს ჯორჯიას საზოგადოების მონაწილეობით, ასახულია უს ჯორჯიას შინაგანაწესში და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

თავი II. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას სტრუქტურა

მუხლი 3. რექტორი

- 3.1. რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორი პასუხისმგებელია ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე; იგი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობებიდან უს ჯორჯიას პერსონალს;
- 3.2. რექტორი გამოსცემს ბრძანებებს უს ჯორჯიას საქმიანობასთან დაკავშირებით. რექტორი ხელს აწერს ხელშეკრულებებს კერძო და იურიდიულ პირებთან;
- 3.3. რექტორი ახორციელებს კანონმდებლობითა და შინაგანაწესით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. პრორექტორი

- 4.1. პრორექტორი არის რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სფეროში;
- 4.2. პრორექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;
- 4.3. პრორექტორი კურირებს სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 4.4. პრორექტორი კურირებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ხელს უწყობს უს ჯორჯიას უმაღლესი განათლების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას. პრორექტორის პრეროგატივაა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- 4.5. ცვლის რექტორს მისი არყოფნის პერიოდში.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭო

- 5.1. წარმომადგენლობითი საბჭო არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედის უს ჯორჯიას აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ბიბლიოთეკარი;

5.2. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი, რომელიც არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ აკადემიური საბჭოს წევრები.

5.3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია:

- 5.3.1. შეიმუშავოს და დაამტკიცოს უს ჯორჯიას შინაგანაწესი;
 - 5.3.2. შეიმუშავოს და დაამტკიცოს უს ჯორჯიას მისია;
 - 5.3.3. შეიმუშავოს და დაამტკიცოს უს ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
 - 5.3.4. აირჩიოს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი;
 - 5.3.5. აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
 - 5.3.6. შეიმუშავოს და დაამტკიცოს უს ჯორჯიას საქმისწარმოების წესი;
 - 5.3.7. აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უს ჯორჯიას აკადემიური თანამდებობის დაკავების წესსა და პირობებს;
 - 5.3.8. შეიმუშავოს და დაამტკიცოს უს ჯორჯიას ეთიკი კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
 - 5.3.9. ახორციელებს უს ჯორჯიას შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- 5.4. წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით.

მუხლი 6. აკადემიური საბჭო

6.1. აკადემიურ საბჭოში დაცულია პარიტეტი თითოეული მიმართულების წარმომადგენლებისათვის;

6.2. აკადემიური საბჭოს წევრებად აირჩევა მხოლოდ პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

6.3. აკადემიური საბჭოს უფლებები:

- 6.3.1. შეიმუშავებს და ამტკიცებს უს ჯორჯიას სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან, ექვსწლიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს;
- 6.3.2. შეიმუშავებს და ამტკიცებს უს ჯორჯიას სტრუქტურას;
- 6.3.3. ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს;
- 6.3.4. შეიმუშავებს და ამტკიცებს უს ჯორჯიას სტუდენტთა სტატუსის მარეგულირებელ წესს;
- 6.3.5. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების უნიფიცირებულ ფორმას;
- 6.3.6. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების უნიფიცირებულ ფორმას;
- 6.3.7. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ფორმებს;
- 6.3.8. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ **SWOT** ანალიზს;
- 6.3.9. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო (საბაკალავრო) პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების წესს;
- 6.3.10. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების უზრუნველყოფას;
- 6.3.11. მონაწილეობს უს ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულების დებულებების განხილვაში;

- 6.3.12. წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
- 6.3.13. განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესსა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- 6.3.14. უფლება აქვს, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭოს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქეა;
- 6.3.15. ახორციელებს უს ჯორჯიას შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- 6.4. აკადემიური საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დებულებით.

მუხლი 7. ბუღალტერი

- 7.1. აწარმოებს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად საბუღალტრო საქმეებს;
- 7.2. სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს;
- 7.3. უს ჯორჯიაში 5 წლის განმავლობაში ინახება შემდეგი დოკუმენტები:
 - 7.3.1. საინვენტარიზაციო ნუსხა, ბალანსი;
 - 7.3.2. სხვა საბუღალტრო დოკუმენტები.

მუხლი 8. კანცელარია

- 8.1. უს ჯორჯიაში საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისწარმოების სამსახური, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება რექტორს;
- 8.2. საქმისწარმოების სამსახურის პასუხისმგებელი პირია - კანცელარიის ხელმძღვანელი;
- 8.3. კანცელარიის ხელმძღვანელი მუშაობს საქმისწარმოების წესის შესაბამისად;
- 8.4. კანცელარიის ხელმძღვანელს აქვს კანცელარიის ბეჭედი.

8.5. საქმისწარმოების სამსახურის ფუნქციები

- 8.5.1. დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, შემოსული და გასული კორესპონდენციის, მმართველობითი დოკუმენტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა;
 - 8.5.2. შემოსული და გასული კორესპონდენციის, უს ჯორჯიას რექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებების (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი), მართვის ორგანოების სხდომის ოქმების, სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი აქტების აღრიცხვა;
 - 8.5.3. კორესპონდენციის მიღება, რეგისტრირება, დამუშავება, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულება, დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა;
 - 8.5.4. შემოსული დოკუმენტების დროული განხილვისა და რექტორისათვის მათი წარდგენის ორგანიზაცია. დოკუმენტების სწორად გაფორმების კონტროლი;
 - 8.5.5. შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაცია, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;
 - 8.5.6. დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობა, შესრულების პროცესის რეგულირება, შესრულების მიმდინარეობის და შედეგების ცნობების განზოგადება, ამ და სხვა საკითხებზე რექტორის ინფორმირება;
 - 8.5.7. დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა - დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება, დოკუმენტების ბლანკების შემუშავება;
 - 8.5.8. ინფორმაციის გაცემა შემოსული დოკუმენტების შესრულებისა და გასული კორესპონდენციის დაგზავნის მდგომარეობაზე;
 - 8.5.9. უს ჯორჯიას სტრუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოების მუშაობის ერთიანი წესის შესაბამისად საქმისწარმოების ორგანიზაცია და მონიტორინგი;
 - 8.5.10. უს ჯორჯიას არქივის მუშაობის ორგანიზება;
- 8.6. უს ჯორჯიაში საქმისწარმოების წესი და პირობები განისაზღვრება საქმისწარმოების წესით.

მუხლი 9. საინფორმაციო სამსახური

- 9.1. საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი;
- 9.2. სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
- 9.3. **სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციებია:**
 - 9.3.1. უს ჯორჯიას ოფიციალური ვებ-საიტების შექმნა და განახლება;
 - 9.3.2. უს ჯორჯიას პერსონალის ელექტრონული ფოსტის სერვისით უზრუნველყოფა;
 - 9.3.3. ფაკულტეტებზე სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დანერგვა და მისი ოპერატიულად უზრუნველყოფა;
 - 9.3.4. ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდიფიცირება;
 - 9.3.5. კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
 - 9.3.6. კომპიუტერული ტექნიკის საგარანტიო შეკეთების მონიტორინგი;
- 9.4. **სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:**
 - 9.4.1. უს ჯორჯიას პრეს-კონფერენციების ჩატარებას, უს ჯორჯიას საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს-დაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას; მის ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;
 - 9.4.2. უს ჯორჯიას მართვის ორგანოების მიერ მიღებული აქტების გამოქვეყნებას;
 - 9.4.3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას;
 - 9.4.4. უს ჯორჯიასათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას;
 - 9.4.5. მოქმედი კანონმდებლობით და უს ჯორჯიას მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების განხორციელებას.
- 9.5. საინფორმაციო სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საინფორმაციო სამსახურის დებულებით.

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- 10.1. უს ჯორჯიას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით

შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უსჯორჯიას შინაგანაწესისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად;

10.2. უსჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

10.3. უსჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის მუდმივი მზადებით;

10.4. უსჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის შპს უმაღლესი სასწავლებელი უსჯორჯიას სტრუქტურული ერთეული, რომელიც წარმოადგენს სასწავლებლის მართვის ორგანოს. იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მმართველობის სფეროს უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს: საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უსჯორჯიას შინაგანაწესით, რექტორის ბრძანებებით და ამ დებულებით. უსჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ევროპული სისტემა, მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო კურსების სილაბუსები) დანერგვის გზით და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

10.5. უსჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

10.5.1. უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღებას;

10.5.2. ახორციელებს განათლებისა და კვლევის სფეროში მიმდინარე პროცესების შეფასებასა და მონიტორინგს;

10.5.3. გეგმავს სასწავლო და მეთოდური საქმიანობის განვითარების ძირითად მიმართულებებს სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

10.5.4. უს ჯორჯიას შინაგანაწესის შესაბამისად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავებას, წარუდგენს მათ აკადემიურ საბჭოს;

10.5.5. უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებს ფაკულტეტის საბჭოების მიერ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების მიზნით გამართულ აკადემიური საბჭოს სხდომაში.

10.5.6. მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიზაციისა და ინტეგრაციის მიზნით სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მოწინავე გამოცდილების გაზიარების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

10.5.7. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციას;

10.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობები:

10.6.1. უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება;

10.6.2. სასწავლო პროცესთან, ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციასთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, წესების, დადგენილებების, ბრძანებების შემუშავების ორგანიზება და კოორდინირება;

10.6.3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

10.6.4. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შედეგად უს ჯორჯიას ფაკულტეტის საბჭოებისა და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;

10.6.5. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ანონიმური გამოკითხვის კითხვარის შემუშავება, გამოკითხვის ჩატარება და შედეგების ანალიზის საფუძველზე

რეკომენდაციების წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

10.6.6. ავტორიზაციის/აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადებისა და შეგროვების ორგანიზება;

10.6.7. უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარდგენა უს ჯორჯიას ხელმძღვანელისთვის;

10.6.8. მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უს ჯორჯიას შინაგანაწესითა და დებულებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება;

10.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

მუხლი 10¹. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

10¹.1 საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არის შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უს ჯორჯიას საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშეწყობას.

10¹.2 საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია

ა) უს ჯორჯიას ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი პოპულარობის ხარისხის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება;

ბ) უს ჯორჯიაში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა.

10¹.3 საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ამოცანებია

ა) საქმიანი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ-სპორტულ,

შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია–დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

ბ) უს ჯორჯიას მონაწილეობისათვის სამთავრობო და თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებების მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამების შერჩევა;

გ) საინფორმაციო ბუკლეტების, პლაკატებისა და სხვა საცნობარო მასალების შემუშავება და გავრცელება საინფორმაციო გარემოში.

დ) უს ჯორჯიას საქმიანობის რეკლამირება ქვეყნის შიგნით სხვადასხვა სახის სარეკლამო საშუალებებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.

ე) მოქმედი კანონმდებლობით და უს ჯორჯიას მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 11. ფაკულტეტი და ფაკულტეტის საბჭო

11.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულია ფაკულტეტი;

11.2. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო;

11.3. ფაკულტეტის საბჭო უზრუნველყოფს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ასევე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებს მომზადებას და განხორციელებას, რომელსაც უს ჯორჯიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

11.4. ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

11.5. ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

11.6. უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

11.7. განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების მიზნით შეარჩიოს საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქე მეცნიერი ან საზოგადო მოღვაწე, რომელიც საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს;

- 11.8. ახორციელებს ”უმადლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 11.9. **ფაკულტეტის დეკანი:**
- 11.9.1. უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;
- 11.9.2. შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დებულებას;
- 11.9.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
- 11.9.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;
- 11.9.5. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- 11.10. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს დებულებით.

თავი III. ბიბლიოთეკა

მუხლი 12. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

- 12.1. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა : ორშაბათი-პარასკევი - დილის 10.00-სთ-დან – 19.00 სთ-მდე. შაბათს - 11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე;
- 12.2. ბიბლიოთეკას განაგებს ბიბლიოთეკის გამგე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უს ჯორჯიას რექტორი.

მუხლი 13. ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობები:

- 13.1. ბიბლიოთეკაში არსებული ფონდის (ელექტრონული და ბეჭდური სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და პერიოდული გამოცემები, ჟურნალები, გაზეთები და სხვა - შემდეგში ფონდის ერთეული) აღრიცხვა, კატალოგიზაცია და მონიტორინგი;

- 13.2. სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან კავშირის დამყარება და ბიბლიოთეკის თანამედროვე წიგნებით შევსებაზე ზრუნვა;
- 13.3. ფონდის დაკომპლექტება წიგნადი თუ სხვა სახის სასწავლო მასალით;
- 13.4. სტუდენტთა მიერ წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვა;
- 13.5. საჭირო წიგნებისა და სახელმძღვანელოების დროულად გამოწერა.

მუხლი 14. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება

- 14.1. ბიბლიოთეკა, პირველ რიგში, განკუთვნილია უს ჯორჯიას პერსონალისა და სტუდენტთა მოხმარებისთვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის მოსურნე პიროვნება უნდა იყოს ბიბლიოთეკაში გაწვევრიანებული.

მუხლი 15. გაწვევრიანება სტუდენტებისათვის

- 15.1. გაწვევრიანება ხდება უს ჯორჯიაში სწავლის პერიოდში ერთხელ;
- 15.2. ბიბლიოთეკით ვერ ისარგებლებს სტუდენტი, რომლიც არ დარეგისტრირდება ბიბლიოთეკის წევრად.

მუხლი 16. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

16.1. წიგნების გატანა და დაბრუნება

- 16.1.1. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს წიგნით მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან ეძლევა შესაძლებლობა გააკეთოს ქსეროასლი;
- 16.1.2. სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით;
- 16.1.3. ბიბლიოთეკის ფონდის ერთეულის გაცემა ხდება ათი დღის ვადით;

16.1.4. ბიბლიოთეკიდან გატანილი ფონდის ერთეულის დაბრუნების ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია გააგრძელოს ვადა, თუ ერთეულზე ბიბლიოთეკაში არ არის შემოსული განაცხადი.

16.1.5. ბიბლიოთეკიდან გატანილი ფონდის ერთეულის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში პირი ვალდებულია წარმოადგინოს იგივე ერთეული ან უს ჯორჯიას ბიბლიოთეკის გამგის მიერ მითითებული დაკარგული ერთეულის ორმაგი ღირებულების შესაბამისი სხვა ერთეული.

16.2. ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია

16.2.1. მოწევა;

16.2.2. ხმაური და საუბარი;

16.2.3. მობილური ტელეფონების გამოყენება;

16.2.4. ფონდის ერთეულის ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა;

16.2.5. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობას მოჰყვება აბონენტისათვის ბიბლიოთეკის წევრობის გაუქმება;

16.2.6. წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობასა თუ დაზიანებაში ხელმეორედ შემჩნეულ პიროვნებას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

თავი IV. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას პერსონალი

უს ჯორჯიაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 17. უს ჯორჯიას აკადემიური პერსონალი

17.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

17.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

- 17.3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ ვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
- 17.4. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 18. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

- 18.1. უს ჯორჯიაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ასისტენტ - პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია მონაწილეობის მიღება ღია კონკურსში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს თანახმად ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა;
- 18.1.1. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უს ჯორჯიას აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;
- 18.1.2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
- 18.1.3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უს ჯორჯიას შინაგანაწესით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე;
- 18.1.4. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს უს ჯორჯიას ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდურ გამოცემაში;
- 18.1.5. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადების მიღების ბოლო ვადა, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 19. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

- 19.1. უს ჯორჯიას აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტისაგან, რომელთა შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
- 19.2. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- 19.3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- 19.4. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.
- 19.5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
- 19.6. აკადემიური საბჭოს მიერ შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 19.2., 19.3., და 19.4. პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- 19.7. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესისა და პირობების შესაბამისად საკონკურსო კომისიის მიერ არჩეულ აკადემიურ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს უს ჯორჯიას რექტორი.

მუხლი 20. პერსონალის უფლებები და მოვალეობები

20.1. პერსონალის უფლებები.

- 20.1.1. მონაწილეობა მიიღოს უს ჯორჯიას მართვაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უს ჯორჯიას შინაგანაწესის შესაბამისად;
- 20.1.2. ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- 20.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- 20.1.4. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

20.2. პერსონალის მოვალეობები

- 20.2.1. დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესის მოთხოვნები;
- 20.2.2. დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- 20.2.3. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
- 20.2.4. სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მუხლი 21. პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

21.1. პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

- 21.1.1. პირადი განცხადება;
- 21.1.2. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- 21.1.3. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- 21.1.4. პენსიაზე გასვლა;
- 21.1.5. გარდაცვალება;
- 21.1.6. კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

მუხლი 22. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

- 22.1. უს ჯორჯიაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორის, პრორექტორის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფაკულტეტის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის , საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელების, იურისტის და ბუღალტრის თანამდებობები.
- 22.2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება სამტატო ნუსხით გათვალისწინებული უს ჯორჯიას საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
- 22.3. უს ჯორჯია სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით უფლება აქვს მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი.
- 22.4. უს ჯორჯიას ადმინისტრაციული თანამდებობიდან პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:**
- 22.4.1. პირადი სურვილი;
- 22.4.2. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- 22.4.3. გარდაცვალება;
- 22.4.4. სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- 22.4.5. საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობა.

თავი V. სასწავლო პროცესი

მუხლი 23. სალექციო დროის განაწილება

- 23.1. უს ჯორჯიაში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის;

- 23.2. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირაა;
- 23.3. უს ჯორჯია ისვენებს შემდეგ უქმე დღეებში:
 - 23.3.1. სვეტიცხოვლობას - 14 ოქტომბერს;
 - 23.3.2. გიორგობას - 23 ნოემბერს;
 - 23.3.3. ქრისტეს შობას - 30 დეკემბრიდან 8 იანვრამდე;
 - 23.3.4. ნათლისღებას – 19 იანვარს;
 - 23.3.5. დედის დღეს - 3 მარტს;
 - 23.3.6. ქალთა დღეს - 8 მარტს;
 - 23.3.7. დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს - 9 აპრილს
 - 23.3.8. აღდგომის კვირას - (5 დღეს) დიდი ხუთშაბათიდან ორშაბათის ჩათვლით;
 - 23.3.9. გიორგობას - 6 მაისს;
 - 23.3.10. ფაშიზმზე გამარჯვების დღეს - 9 მაისს;
 - 23.3.11. წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს - 12 მაისს;
 - 23.3.12. დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს.

მუხლი 24. საბაკალავრო პროგრამები

24.1. უს ჯორჯია ახორციელებს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

- 24.1.1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას;
- 24.1.2. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას;
- 24.2. ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი და პირობები განისაზღვრება ბაკალავრიატის დებულებით.

მუხლი 25. სტუდენტისათვის სტატუსის მინიჭება

25.1. უს ჯორჯიას სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი, რომელიც უს ჯორჯიათან ერთად პასუხს აგებს არჩეული აკადემიური პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების მიღების ხარისხზე;

- 25.2. საბაკალავრო პროგრამებზე ჩაირიცხებიან მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირები.
- 25.3. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რის შემდეგაც სტუდენტი ვალდებულია უს ჯორჯიას მიერ გამოცხადებულ ვადებში, გაიაროს რეგისტრაცია და გააფორმოს ჩარჩო ხელშეკრულება და ყოველი სემესტრისათვის სემესტრული ხელშეკრულებაც, რომელიც წარმოშობს დამატებით ვალდებულებებს უს ჯორჯიასა და სტუდენტისათვის. უს ჯორჯია უფლებამოსილია, სწავლის საფასურის დაფარვამდე არ დაუშვას სტუდენტი ლექციაზე;
- 25.4. უცხოელი მოქალაქეების ჩაირიცხვა დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურით;
- 25.5. უს ჯორჯიაში მიიღებიან პირები განურჩევლად ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსისა, დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია;

მუხლი 26. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 26.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უს ჯორჯიასა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
- 26.2. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უს ჯორჯიას სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში;
- 26.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- 26.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N 10/5 (04.02. 2010 წ.) "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ"

ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 27. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

27.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შეიძლება უკავშირდებოდეს უს ჯორჯიას საგანმანათლებლო (საბაკალავრო) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას;

27.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან;

27.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

27.4. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 28. მობილობა

28.1. სტუდენტთა მობილობა არის სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- 28.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
- 28.3. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- 28.4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად;
- 28.5. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი ან პირი, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;
- 28.6. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში და მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი წესების შესაბამისად;
- 28.7. უს ჯორჯიას სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე სხვა სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლის, ისევე როგორც უს ჯორჯიას შიგნით სხვადასხვა

პროგრამებზე ან ფაკულტეტებზე გადასვლის პროცესს არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა და წინამდებარე წესი;

- 28.8. მობილობის მსურველი, რომელიც უს ჯორჯიას მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უს ჯორჯიას ადმინისტრაციას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 28.9. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით. ამ პირობის ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას;
- 28.10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 10/ნ (04.02.2010 წ.) "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ ბრძანებით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
- 28.11. სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი და მობილობის, სტუდენტისათვის წაყენებული აკადემიური მოთხოვნების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღებისა და ჩარიცხვის წესები განისაზღვრება სტუდენტთა სტატუსის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 29. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი

- 29.1 აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 29.2 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის ან/და სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა (კურიკულუმი) და სასწავლო კურსების (სილაბუსები) შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე;
- 29.3 საგანმანათლებლო პროგრამის (მიღებული კრედიტების) აღიარების დროს ხდება სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო კურსების კრედიტების შედარება უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან;
- 29.4 შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
- 29.5 სასწავლო კურსების კრედიტების აღიარებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მიზნები და შედეგები, მათი შესაბამისობა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები);
- 29.6 უს ჯორჯია უფლებამოსილია, გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა;
- 29.7 დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით;
- 29.8 სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უს ჯორჯიას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს არჩევითი კურსების სახით იმ შემთხვევაში, თუ უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით კომპონენტს;
- 29.9 თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია

სტუდენტის მიერ შესწავლილ სასწავლო კურსს მიენიჭოს უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული მეტი კრედიტი (3-კრედიტიანი კურსი აღიარებული იქნება 5-კრედიტიანად) ან არ მოხდეს კრედიტების აღიარება. 2 კრედიტზე მეტი განსხვავების შემთხვევაში კრედიტების აღიარება ხდება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო კურსის შინაარსის (სილაბუსის) განხილვის და/ან სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად, რის საფუძველზე შემდეგ ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ან შეუსაბამობის განსაზღვრა;

29.10 თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად;

29.11 საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის და რომლის მიხედვითაც დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სემესტრიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი;

29.12 აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან. უს ჯორჯიაში საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები 5-კრედიტიანებია;

29.13 უს ჯორჯია უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;

29.14 ცოდნის შეფასების სხვადასხვა ქულათა სისტემების თავსებადობა: სტუდენტის ცოდნის დღეისათვის მიღებული 100 ქულიან სისტემაზე 5-ქულიანი შეფასების პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად: 5-ქულიანი შეფასების სისტემით მიღებული შეფასებები შეიძლება მივუსადაგოდ 100-ქულიან შეფასების სისტემას. თუ სტუდენტს უს ჯორჯიას საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ მისი აღიარება ხდება 5-ბალიანი სისტემიდან 100-ქულიან სისტემაზე პირობითად გადაყვანის პრინციპის შესაბამისად; ე.წ. „ჩათვლა“ მიჩნეულ იქნება მინიმალურ დადებით შეფასებად (51 ქულა). შეფასების 5-ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

ფრიადი	5	91 ქულა	A
კარგი	4	80 ქულა	C
დამაკმაყოფილებელი	3	60 ქულა	E
არადამაკმაყოფილებელი	2	ქულა	F

29.15 თუ სასწავლო დაწესებულება, რომელშიც სწავლობს მობილობის მსურველი სტუდენტი იყენებს ECTS სისტემასთან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ მობილობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უს ჯორჯიაში მიღებული საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან;

29.16 თუ მობილობის მსურველმა სტუდენტმა სტუდენტის სტატუსი მიიღო ECTS სისტემის შემოღებამდე, მაშინ ხდება სტუდენტის სასწავლო ბარათში მითითებული სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული აკადემიური საათების ანალიზი, რის შედეგადაც შესაბამის სასწავლო კურსებს ენიჭებათ შესაბამისი კრედიტი.

მუხლი 30. საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების შედეგები

30.1. უს ჯორჯია კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და სტუდენტის ჩარიცხვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

30.2. ცენტრის მომართვის საფუძველზე უს ჯორჯია ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანამანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ საქართველოში სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

30.3. ცენტრის მომართვის საფუძველზე 10 დღის ვადაში უს ჯორჯია ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანამანათლებლო პროგრამასთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

30.4. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და კრედიტების აღიარების წესით.

მუხლი 31. ბაკალავრიატში მიღების წესი

31.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისა და უს ჯორჯიაში ჩარიცხვის შემდეგ აბიტურიენტებმა უნდა:

31.1.1. შემოიტანონ საბუთები;

31.1.2. გააფორმონ ხელშეკრულება უს ჯორჯიასთან;

31.1.3. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულმა სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს:

31.1.4. სკოლის ატესტატი - დედანი;

31.1.5. პირადობის მოწმობა – ასლი;

31.1.6. 4 ფოტოსურათი 3X4;

31.1.7. მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებმა);

31.1.8. შეავსოს სპეციალური განაცხადი.

მუხლი 32. ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები

32.1. სტუდენტს ეროვნული გამოცდებით უს ჯორჯიაში ჩარიცხვისა და სარეგისტრაციო პროცედურის გავლის შემდეგ უს ჯორჯიასთან უფორმდება ხელშეკრულება.

თავი VI. სტუდენტები

მუხლი 33. სტუდენტთა თვითმმართველობა

33.1. უს ჯორჯიაში სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს დამოუკიდებელ სტუქტურულ ერთეულს;

- 33.2. სტუდენტთა თვითმმართველობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და სტუდენტთა თვითმმართველობის დებულებით;
- 33.3. თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უსჯორჯიას რექტორისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

მუხლი 34. თვითმმართველობის ამოცანები და ფუნქციები

- 34.1. სტუდენტთა თვითმმართველობა:
 - 34.1.1. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - 34.1.2. უსჯორჯიას მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უფლებამოსილია შეიმუშაოს ფაკულტეტისთვის წარსადგენი წინადადებები;
 - 34.1.3. ორგანიზებას უკეთებს სტუდენტთა საღამოებისა და დისკუტების ჩატარებას (როგორც შემეცნებითი, ასევე ინტელექტუალური და გასართობი);
 - 34.1.4. ორგანიზებას უკეთებს უსჯორჯიას სტუდენტების შეხვედრებს გამოჩენილ მოღვაწეებთან;
 - 34.1.5. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტუდენტთა მიერ ეთიკის კოდექსიტ გათვალისწინებული ნორმების დაცვას;
- 34.2. სტუდენტთა თვითმმართველობის ამოცანები და ფუნქციები, ასევე სტუდენტთა უფლებები და წახალისების ფორმები განისაზღვრება სტუდენტთა თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 35. სტუდენტის უფლებები

- 35.1. სტუდენტს უფლება აქვს:
 - 35.1.1. მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

- 35.1.2. მონაწილეობა მიიღოს ზოგადად უს ჯორჯიას მართვასა და სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- 35.1.3. მონაწილეობა მიიღოს უს ჯორჯიას პერსონალის რეიტინგის დადგენაში.

მუხლი 36. სტუდენტთა წახალისების ფორმები

- 36.1. უს ჯორჯიას საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების შემდეგი ზომები:
 - 36.1.1. მადლობის გამოცხადება;
 - 36.1.2. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
 - 36.1.3. ადრე დადებული დისციპლინარული სასჯელის ვადამდე მოხსნა.

მუხლი 37. სტუდენტთა ფინანსური პასუხისმგებლობა

- 39.1. სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო წელს სწავლის საფასური სრულად გადაიხადოს სასწავლო წლის დაწყებამდე;
- 39.2. სტუდენტი, რომელიც ვერ მოიპოვებს მოცემული სასწავლო წლისათვის გათვალისწინებულ კრედიტებს, უწევს შესაბამისი საფასურის გადახდით სასწავლო კურსის განმეორებითი გავლა;
- 39.3. გამონაკლის შემთხვევაში სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის გადავადების ან შემცირების საკითხს განიხილავს უს ჯორჯიას რექტორი.

მუხლი 38. ეთიკის კოდექსი

38.1. უს ჯორჯიას პერსონალის ქცევის ნორმები

- 38.1.1. უს ჯორჯია აღიარებს და იცავს აკადემიურ თავისუფლებას.
- 38.1.2. უს ჯორჯიას ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს ნებისმიერ საკანონმდებლო და სამეწარმეო მოთხოვნას, ასევე უს ჯორჯიას შინაგანაწესსა და რექტორის ბრძანებებს.

38.1.3. უს ჯორჯიას პერსონალი ვალდებულია თავიდან აიცილონ ან შესაბამისი რეაგირებით შეხვდნენ ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ჩრდილი მიაყენონ უს ჯორჯიას რეპუტაციას. ასეთ სიტუაციებად განიხილება სტუდენტებთან, კოლეგებთან და უს ჯორჯიას თანამშრომლებთან კონფლიქტური, დამაბული და არაჯანსაღი ურთიერთობები, საკუთარი პერსონის წარმოჩინება, სხვათა მიმართ უპატივცემლობა და ცინიკური დამოკიდებულება, დამაბული, ნეგატიური ემოციური ფონის შექმნა და ა.შ.

38.1.4. უს ჯორჯიას პერსონალმა არ უნდა მოითხოვოს საჩუქარი ან თანხა და არ უნდა წახალისოს ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუკი ეს უკავშირდება მათი მხრიდან სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენებას.

38.1.5. საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარება უს ჯორჯიას მთელი პერსონალის მოვალეობაა. ისინი გამუდმებით უნდა ცდილობდნენ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციის ხარისხი.

38.1.6. უს ჯორჯიას პერსონალი ვალდებულია გაუფრთხილდეს უს ჯორჯიას შენობასა და სასწავლო ინვენტარს, გამოიყენოს ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები.

38.2. უს ჯორჯიას სტუდენტების ქცევის ნორმები

38.2.1. უს ჯორჯიას ტერიტორიაზე სტუდენტთა მხრიდან დისციპლინის ნორმების დაცვას აკონტროლებს დაცვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი ან განსაკუთრებულ შემთხვევებში რექტორი. ამავე დროს დისციპლინის კონტროლი დელეგირებულია პერსონალზე და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოებზე.

38.2.2. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში უს ჯორჯიას პერსონალი უფლებამოსილია დააყენოს დამრღვევი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი. უს ჯორჯიას რექტორი კი უფლებამოსილია, განახორციელოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა შინაგანაწესის დამრღვევი სტუდენტის მიმართ

38.2.3. აუდიტორიაში სტუდენტის ყოფა-ქცევაზე პასუხისმგებელია სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის ლექციის მსვლელობას, ლექტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება. შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლექციებზე დასწრების აკრძალვის უფლება აქვს მხოლოდ ფაკულტეტის დეკანს, ან რექტორატის სხვა წარმომადგენელს.

38.2.4. უს ჯორჯიაში პროფესიის დაუფლებისას, სტუდენტს მოეთხოვება აკადემიური ღირსებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა. სტუდენტის შეფასება უნდა იყოს შედეგი მის მიერ პირადად გაწეული შრომისა, რომელიც მიზნად ისახავს მის განსწავლასა და პროფესიულ ზრდას.

38.2.5. წერთი დავალება უნდა იყოს საკუთარი სიტყვებით სტუდენტის აზრის გამოხატვის საშუალება. წერთი დავალება, სულერთია ის იწერება აუდიტორიაში, თუ უს ჯორჯიას გარეთ, უნდა შესრულდეს სტუდენტის საკუთარი სიტყვებით და უნდა გამოხატავდეს მის საკუთარ ნაზრევს. თუ სტუდენტს სურს გამოიყენოს ციტირების მიზნით, სხვისი ნაზრევი ან გამონათქვამი, მან უნდა გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნები. ყველა სხვა შემთხვევაში ეს აღიქმება, როგორც აკადემიური ქცევის წესების დარღვევად, ანუ პლაგიატად.

38.2.6. ტესტი უჩვენებს, რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა მასალა. ლექტორის მხრივ მასალის, სახელმძღვანელოს, წიგნების, კალკულატორის, კომპიუტერის და სხვ. გამოყენების სპეციალური უფლების არქონის შემთხვევაში, სტუდენტმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეასრულოს საგამოცდო დავალება. გამოცდაზე წიგნების, ან სხვა მასალის გამოყენება არ ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ ლექტორის მიერ მიცემულია სპეციალური ნებართვა და შესაბამისად სტუდენტი მოქმედებს საჯაროდ.

38.3. დისციპლინარულ გადაცდომას წარმოადგენს:

- ა) ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- ბ) შინაგანაწესის დარღვევა;

- გ) სწავლის პროცესისათვის – ლექციებისა და სემინარებისათვის – ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;
- დ) ლექციებზე მობილური ტელეფონების გამოყენება;
- ე) ლექტორის მოთხოვნის დაუმორჩილებლობა;
- ვ) დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მითითების დაუმორჩილებლობა;
- ზ) სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილისწამება;
- თ) ნებადაურთველად შესვლა უს ჯორჯიას შენობაში;
- ი) აკრძალულ ადგილებში (აუდიტორიებში, დერეფნებში და სხვა) სიგარეტის მოწევა;
- კ) გამიზნულად ან დაუდევრობის მიზეზით ადამიანის უსაფრთხოების და უს ჯორჯიას საკუთრების საფრთხეში ჩაგდება;
- ლ) განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, ცრუ მუქარის ან სხვა მოვლენის შესახებ);
- მ) ავეჯის, ტექნიკის თუ სხვა სახის უს ჯორჯიას საკუთრებაში არსებული მატერიალუტ-ტექნიკური ბაზის დამტვრევა-დაზიანება;
- ნ) უს ჯორჯიას შინაგანაწესის სხვაგვარი დარღვევა.

38.4. სტუდენტებს, რომლებიც შემჩნეული იქნებიან დისციპლინარულ გადაცდომებში ან დანაშაულის ჩადენაში, შეუჩერდებათ/შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი და მათ მიმართ მასალები გადაეცემათ სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის. ასეთ გადაცდომებს და დანაშაულს განეკუთვნება:

- ა) ფალსიფიცირება, უს ჯორჯიას დოკუმენტების ან ჩანაწერების გადაკეთება და შეცვლა ნებართვის გარეშე;
- ბ) ძალის გამოყენება, თავდასხმა, ან ძალის გამოყენების მუქარა პიროვნების მიმართ;
- გ) იარაღის ტარება, საშიში ნივთიერებების, ასაფეთქებლების თან ქონა;
- დ) სექსუალური ძალადობა;
- ე) ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის ხმარება-გავრცელება;
- ვ) უს ჯორჯიას საკუთრების, მათ შორის საუნივერსიტეტო ტექნიკის მოპარვა-მიტაცება;
- ზ) უს ჯორჯიაში ქურდობა-ყაჩაღობა;

მუხლი 39. დისციპლინარული პასუხისმგებლობა

- 38.1. დისციპლინარული პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, რომელიც გამოიყენება უს ჯორჯიას სტუდენტებისა და პერსონალის მიმართ მათ მიერ უს ჯორჯიას ტერიტორიაზე დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში;
- 38.2. შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას შინაგანაწესის ან ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის დისციპლინარული სასჯელის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უს ჯორჯიას რექტორი, რომელიც უფლებამოსილია დანაშაულის სიმძიმის მიხედვით გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
- 38.2.1. გაფრთხილება;
 - 38.2.2. საყვედური;
 - 38.2.3. მატერიალური ზარალის ანაზღაურება;
 - 38.2.4. თანამშრომლებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტა;
 - 38.2.5. სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- 38.3 დისციპლინარული ზომების გამოყენება განხორციელდება უს ჯორჯიას შინაგანაწესისა და ეთიკი კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 40. უს ჯორჯიას პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

- 40.1. პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით არსებობს:
- 40.1.1. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება; ამ მიზნით ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები;
 - 40.1.2. უს ჯორჯიას ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;

40.1.3. უს ჯორჯიაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ, ადმინისტრაციული შენობის აუდიტორიაში მოწყობილია მედპუნქტის ოთახი შესაბამისი ინვენტარით, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, ხელშეკრულებით დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი - ექთანი. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოპერატიული გამოძახება;

40.1.4. უს ჯორჯიაში არსებობს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, ხელშეკრულებით დასაქმებულია დაცვის თანამშრომელი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში სისტემატიურად აკონტროლებს სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებას. საჭიროების შემთხვევაში ხდება საპატრულო სამსახურის გამოძახება.

თავი VII. სწავლის შედეგების შეფასება

მუხლი 41. საკრედიტო სისტემა

41.1. უს ჯორჯიაში მოქმედებს ტრანსფერისა და კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემა, რომელიც ეფუძნება ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას;

41.2. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიურ საათს, რომელიც ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს;

41.3. საბაკალავრო პროგრამა - 240 კრედიტი

41.3.1. ხანგრძლივობა: 4 წელი, ანუ, 8 სემესტრი;

მუხლი 42. შეფასების სისტემა

42.1. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- ფინალური გამოცდის შეფასებას.

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX - შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტის მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს. სტუდენტი ვერ მიიღებს კრედიტს, თუ იგი არ ფლობს საპროგრამო მასალას. სასწავლო კურსის დაუფლების შედეგად გამოვლენილი ცოდნის შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი კრიტერიუმები:

42.2. შეფასების კრიტერიუმები:

“A” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ყოველმხრივი, ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყველა დავალება, აითვისა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, დამოუკიდებლად მოიძია ცოდნის გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროები;

“B” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების ძირითადი ნაწილი და ასევე აითვისა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

“C” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის სრული ცოდნა და წარმატებით შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებები და ასევე აითვისა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა;

“D” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის ცოდნა იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომი სწავლებისათვის; თავი გაართვა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას. იგი იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას, უნარი შესწევს ამ ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-განახლებისა; გამოამჟღავნა შესწავლილი მასალის თეორიული ცოდნის, გაცნობიერების და გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები;

“E” თუ სტუდენტმა გამოამჟღავნა სასწავლო მასალის არასრულყოფილი ცოდნა, უძნელდება სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულება, სრულად არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, გაუძნელდება დამოუკიდებლად მუშაობა, გამოამჟღავნა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საშუალო დონე;

“FX” თუ სტუდენტმა გაწეული ძალისხმევით მიუხედავად, ვერ დააკმაყოფილა სასწავლო კურსის დაუფლებისათვის სავალდებულო მოთხოვნები, ვერ გამოამჟღავნა სასწავლო-საპროგრამო მასალის ცოდნა, დაუშვა პრინციპული შეცდომები სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს, ბუნდოვანი

წარმოდგენა აქვს რეკომენდებულ ლიტერატურაზე, მაგრამ იგი, ინტენსიური მეცადინეობის შედეგად მოკლევადიან პერიოდში შესძლებს დადებითი შეფასების მიღებას;

“F” თუ სტუდენტს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სასწავლო კურსის შინაარსზე, არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალასა და სავალდებულო ლიტერატურას, არ შესწევს უნარი დამოუკიდებელი მუშაობით დაეუფლოს დისციპლინას და საჭიროებს სასწავლო კურსის თავიდან შესწავლას.

მუხლი 43. აკადემიური ხარისხის მინიჭება

43.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

43.2. კვალიფიკაციას ადასტურებს რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

43.3. უს ჯორჯიას კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA–ს) დაანგარიშება ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

43.3.1. უს ჯორჯიას კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ნიშნის დასაანგარიშებლად თავდაპირველად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა GPA–სთან ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA
A	91 - 100	4.0
B	81 - 90	3.0
C	71 - 80	2.0
D	61 - 70	1.0

E	51 - 60	0.5
F - FX	0 - 50	0

43.4. უს ჯორჯიას კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება დიპლომის დანართში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის მიხედვით:

43.4.1. სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების საშუალო ქულა (GPA) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე;

43.4.2. ამგვარად მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე;

43.4.3. მიღებული სიდიდე წარმოადგენს დიპლომის საშუალო ქულას (GPA).

43.5. წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის დიპლომის საშუალო ნიშანი (ე. წ. GPA) შეადგენს არანაკლებ 3,5-ს.

მუხლის 44. დასკვნითი დებულებები

44.1. უს ჯორჯის შინაგანაწესი ძალაშია დამტკიცებისათნავე;

44.2. შინაგანაწესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უნდა დამტკიცდეს უს ჯორჯიას წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ცვლილების ან დამატების სახით.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე

ქეთევან ჯიჯეიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

გულმაზი მოსიაშვილი